პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი,
15
თებერვალი
1937 წ.
№ 37 (4839)

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია შევიდა ძალაში.
გაუმარჯოს ორდენოსანი საქართველოს სტალინურ კონსტიტუციას!

დადგენილება

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დამტკიცების შესახებ

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი ყრილობის სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

ყრილობის პრეზიდიუმი

თბილისი
13 თებერვალი, 1937 წ.

დადგენილება

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევის შესახებ

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა ადგენს:

მიენდოს სრულიად-საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე — შეიმუშაოს და დაამტკიცოს საარჩევნო დებულება, აგრეთვე განსაზღვროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევის ვადები.

ყრილობის პრეზიდიუმი

თბილისი.
13 თებერვალი, 1937 წ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

თავი I

საზოგადოებრივი წყობილება

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

მუხლი 2. საქართველოს სსრ-ის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად.

მუხლი 3. მთელი ძალაუფლება საქართველოს სსრ-ში ეკუთვნით ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით.

მუხლი 4. საქართველოს სსრ-ის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებულნი მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად.

მუხლი 5. სოციალისტურ საკუთრებას საქართველოს სსრ-ში აქვს ან სახელმწიფო საკუთრების ფორმა (საყოველთაო - სახალხო კუთვნილება), ან კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა (ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრება, კოოპერატიულ გაერთიანებათა საკუთრება).

მუხლი 6. მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე, ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, სამადნოები, რკინისგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტი, ბანკები, კავშირგაბმულობის საშუალებანი, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმონი (საბჭოთა მეურნეობანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და სხვ.), აგრეთვე კომუნალური წამოწყებანი და ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქებსა და სამრეწველო პუნქტებში შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას.

მუხლი 7. საზოგადოებრივი წამოწყებანი კოლმეურნეობებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მათი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, კოლმეურნეობათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა მიერ წარმოებული პროდუქცია, ისე როგორც მათი საზოგადოებრივი ნაგებობანი, შეადგენენ კოლმეურნეობათა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას.

თვითეულ კოლმეურნულ კომლს, გარდა ძირითადი შემოსავლისა საზოგადოებრივი კოლექტიური მეურნეობიდან, პირად სარგებლობაში აქვს მცირე საკარმიდამო ნაკვეთი მიწა და პირად საკუთრებად—დამხმარე მეურნეობა საკარმიდამო ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი—თანახმად სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა.

მუხლი 8. მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრებათ მათ უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში, ესე იგი სამუდამოდ.

მუხლი 9. მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, რომელიც საქართველოს სსრ-ში მეურნეობის გაბატონებული ფორმა არის, კანონით დაშვებულია ერთპიროვნულ გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა, რომელიც დამყარებულია პირად შრომაზე და გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას.

მუხლი 10. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათს შრომითს შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, საოჯახო მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების საგნებზე, პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნებზე, ისე როგორც მოქალაქეთა პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება—დაცულია კანონით.

მუხლი 11. საქართველოს სსრ-ის სამეურნეო ცხოვრება განისაზღვრება და წარიმართება სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმით საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა, საქართველოს სსრ-ის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისა, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის, მისი ძლიერებისა და თავდაცვაუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

მუხლი 12. შრომა საქართველოს სსრ-ში არის, შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს“.

საქართველოს სსრ-ში ხორციელდება სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს—მისი შრომის მიხედვით“.

თავი II

სახელმწიფოებრივი წყობილება

მუხლი 13. ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთი დახმარების განხორციელების მიზნისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ-თან საკავშირო სახელმწიფოში—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ამისდა მიხედვით საქართველოს სსრ უზრუნველჰყოფს სსრ კავშირისათვის მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას, დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს.

მუხლი 14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით:

ა) ღებულობს საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი, ახორციელებს მისი შესრულების კონტროლს;

ბ) ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების კონსტიტუციებს;

გ) აწესებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებს;

დ) წარუდგენს დასამტკიცებლად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში;

ე) აწესებს საზღვრებსა და სარაიონო დაყოფას საქართველოს სსრ-ისას.

ვ) გამოსცემს საქართველოს სსრ-ის კანონებს, კანონთა კოდექსებს და უზენაესი მმართველობის აქტებს;

ზ) იცავს სახელმწიფოებრივ წესრიგს და მოქალაქის უფლებებს;

თ) ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის სახალხო-სამეურნეო გეგმას;

ი) ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტს;

კ) ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის, აჭარის ავტონომიური სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტებისა და რაიონების და ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტების განხორციელებას;

ლ) აწესებს, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, გამოსაღებებს და არასაგადასახადო შემოსავალს;

მ) განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის ბანკების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების და საწარმოების, სავაჭრო წამოწყებების მმართველობის საქმეს და აგრეთვე ხელმძღვანელობს ადგილობრივ მრეწველობას;

ნ) ახორციელებს საკავშირო ქვემდებარეობის საწარმოთა და დაწესებულებათა მდგომარეობისა და მმართველობის კონტროლს;

ო) ამყარებს მიწის, მისი წიაღის, ტყის და წყლის სარგებლობის წესს;

პ) განაგებს ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის საქმეს, საბინაო მშენებლობას და საბინაო და კომუნალური მეურნეობის მმართველობას;

ჟ) ხელმძღვანელობს საგზაო მშენებლობას, ადგილობრივ ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას;

რ) განაგებს შრომის კანონმდებლობის საქმეს;

ს) ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს;

ტ) განაგებს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს;

უ) ხელმძღვანელობს დაზღვევის და საშემნახველო საქმეს;

ფ) ხელმძღვანელობს პირველდაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების საქმეს;

ქ) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ-ის კულტურულ-განმანათლებელ და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და მმართავს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის კულტურულ-განმანათლებელ და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

ღ) ხელმძღვანელობს მოქალაქეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ შთანერგვის საქმეს;

ყ) აწყობს სასამართლო ორგანოებს;

შ) ანიჭებს საქართველოს სსრ-ის მოქალაქეობის უფლებებს;

ჩ) ახორციელებს საქართველოს სსრ-ის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდადებულ მოქალაქეთა ამნისტიისა და პატიების უფლებას.

მუხლი 15. საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას.

მუხლი 16. საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 17. სსრ კავშირის კანონებს ძალა აქვთ საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე.

მუხლი 18. საქართველოს სსრ-ის მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე.

ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს სსრ-ის მოქალაქის თანაბარი უფლებებით.

მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღბულაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიის, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ჭიათურის, ხაშურის, ხობის, ჯუღელის—რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, სუხუმის, ოჩემჩირის რაიონებისაგან და ქალაქ სუხუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 22. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი შესდგება ზნაურის, ლენინგორის, სტალინირის, ჯავის რაიონებისაგან და ქალაქ სტალინირისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის.

მუხლი 23. საქართველოს სსრ-ის კანონებს ერთნაირი ძალა აქვთ საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე.

თუ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონი საქართველოს სსრ-ის კანონს არ ეთანხმება, მოქმედებს საქართველოს სსრ-ის კანონი.

მუხლი 24. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ სსრ-ებს აქვთ თავიანთი კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ რესპუბლიკათა თავისებურებას და აგებული არიან საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის სრულ შესაბამისად.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს აქვს ავტონომიური ოლქის დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო.

თავი III

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

მუხლი 25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო.

მუხლი 26. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ახორციელებს ყველა უფლებას, რაც მიკუთვნებული აქვს საქართველოს სსრ-ს, თანახმად საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის მე-13 და 14 მუხლებისა, რამდენადაც ეს უფლებები ამ კონსტიტუციის ძალით არ შედიან საქართველოს სსრ-ის იმ ორგანოების კომპეტენციაში, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს წინაშე: საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატებისა.

მუხლი 27. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო არის საქართველოს სსრ-ის ერთადერთი კანონმდებელი ორგანო.

მუხლი 28. საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს ირჩევენ რესპუბლიკის მოქალაქენი საარჩევნო ოლქების მიხედვით შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 15.000 მცხოვრებზე.

მუხლი 29. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ირჩევა ოთხი წლის ვადით.

მუხლი 30. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სესიებს იწვევს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ.

რიგგარეშე სესიებს იწვევს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი შეხედულებისამებრ, ან უზენაესი საბჭოს დეპუტატების არანაკლებ, ვიდრე ერთი მესამედის მოთხოვნით.

მუხლი 31. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ირჩევს თავის თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს.

საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს უზენაესი საბჭოს სხდომებს და განაგებს მის შინაგან განაწესს.

მუხლი 32. კანონი დამტკიცებულად ითვლება, თუ იგი მიღებულია საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 33. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები ქვეყნდება საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

მუხლი 34. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ირჩევს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე ავტონომიურ რესპუბლიკათა რიცხვის მიხედვით, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 13 წევრი.

მუხლი 35. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელს თავის მოქმედებაში ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს წინაშე.

მუხლი 36. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) იწვევს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სესიებს;

ბ) განმარტავს საქართველოს სსრ-ის მოქმედ კანონებს, გამოსცემს ბრძანებულებებს;

გ) მოახდენს საყოველთაო-სახალხო დაკითხვას (რეფერენდუმს);

დ) აუქმებს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან;

ე) საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში—ათავისუფლებს თანამდებობისაგან და ნიშნავს საქართველოს სსრ-ის ცალკეულ სახალხო კომისრებს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით და შემდგომ დასამტკიცებლად შეაქვს საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში;

ვ) ანიჭებს საქართველოს სსრ-ის მოქალაქეობის უფლებას;

ზ) აჯილდოვებს საპატიო სიგელით და ანიჭებს საქართველოს სსრ-ის საპატიო წოდებებს;

თ) ახორციელებს საქართველოს სსრ-ის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდადებულ მოქალაქეთა პატიების უფლებას.

მუხლი 37. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელიც ამოწმებს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებას.

სამანდატო კომისიის წარდგენით საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო სწყვეტს—ან იცნოს ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, ან გააუქმოს მათი არჩევა.

მუხლი 38. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ნიშნავს, როდესაც იგი აუცილებლად სცნობს, საგამომძიებლო და სარევიზიო კომისიებს ყოველგვარ საკითხზე.

ყველა დაწესებულება და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს ამ კომისიების მოთხოვნა და წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

მუხლი 39. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში სასამართლოს წესით ან დაპატიმრებულ იქნას საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე, ხოლო უზენაესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში—საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

მუხლი 40. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლისას საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას ახლად არჩეული საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს ახალი პრეზიდიუმის შექმნამდე.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

გაგრძელება

მუხლი 41. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლისას — საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი თვისა დღიდან საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლისა.

მუხლი 42. საქართველოს სსრ-ის ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოს იწვევს საქართველოს სსრ-ის წინანდელი შემადგენლობის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების შემდეგ.

მუხლი 43. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მთავრობას — საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს.

თავი IV

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები

მუხლი 44. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო არის საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხლი 45. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს წინაშე, ხოლო საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში—საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 46. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის მოქმედ კანონთა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად, და ამოწმებს მათ შესრულებას.

მუხლი 47. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 48. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო:

ა) აერთიანებს და წარმართავს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატებისა და თავის ქვემდებარე სხვა სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობას; აერთიანებს და ამოწმებს საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მუშაობას;

ბ) ღებულობს ზომებს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის გასახორციელებლად;

გ) ღებულობს ზომებს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და მოქალაქეთა უფლებების დასაცავად;

დ) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, ხელმძღვანელობს და ამოწმებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების მუშაობას;

ე) ქმნის, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეთა სპეციალურ კომიტეტებს და მთავარ სამმართველოებს.

მუხლი 49. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრების ბრძანებები და ინსტრუქციები.

მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრები:
კვების მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
შინაგანი ვაჭრობის;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული,
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი.

მუხლი 51. საქართველოს სსრ-ის მთავრობა ან საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარი, რომლებისადმი მიმართულია საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატის შეკითხვა, ვალდებული არიან არა უგვიანეს 3 დღისა გასცენ სიტყვიერი ან წერილობითი პასუხი საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 52. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის იმ დარგებს, რომლებიც საქართველოს სსრ-ის კომპეტენციაში შედიან.

მუხლი 53. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრები, სათანადო სახალხო კომისარიატების კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემენ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონთა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და ინსტრუქციათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად, და ამოწმებენ მათ შესრულებას.

მუხლი 54. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისარიატები არიან ან საკავშირო - რესპუბლიკური ან რესპუბლიკური.

მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან—სახალხო კომისარიატები:

კვების მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
შინაგანი ვაჭრობის;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;

მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან—სახალხო კომისარიატები:

განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;

მუხლი 57. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო მმართველობის მათთვის დაკისრებულ დარგებს, გარდა საწარმოთა განსაზღვრული რიცხვისა იმ სიით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და ექვემდებარებიან, როგორც საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ისე სსრ-ის კავშირის სათანადო საკავშირო—რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებს.

მუხლი 58. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის მათთვის დაკისრებულ დარგებს და ექვემდებარებიან უშუალოდ საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს.

თავი V

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები

მუხლი 59. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები არიან ამ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები.

მუხლი 60. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ირჩევენ რესპუბლიკის მოქალაქენი ოთხი წლის ვადით წარმომადგენლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.

მუხლი 61. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არის ამ რესპუბლიკის ერთადერთი კანონმდებელი ორგანო.

მუხლი 62. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო:

ა) ღებულობს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, თანახმად საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის 24 მუხლისა, და შეაქვს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში;

ბ) წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოს ახალი რაიონებისა და ქალაქების შექმნას და აგრეთვე აწესებს მათ საზღვრებს;

გ) ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმას და ბიუჯეტს;

დ) აჯილდოვებს საპატიო სიგელით და ანიჭებს ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო წოდებებს.

მუხლი 63. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ირჩევს ავტონომიური სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: ავტონომიური სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილენი, პრეზიდიუმის მდივანი და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

მუხლი 64. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე.

მუხლი 65. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება განისაზღვრება ავტონომიური სსრ-ის კონსტიტუციით.

მუხლი 66. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სხდომების გაძღოლისათვის ირჩევს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს.

მუხლი 67. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას—ავტონომიურ სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს.

თავი VI

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოები

მუხლი 68. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სსრ-ების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო არის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

მუხლი 69. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინაშე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიათა შორის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 70. ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკის კანონთა, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად, და ამოწმებს მათ შესრულებას.

მუხლი 71. ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისრების ბრძანებანი და ინსტრუქციები, მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიაზე და აგრეთვე შეაჩეროს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

მუხლი 72. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
სახალხო კომისრები:
მიწათმოქმედებისა;
ფინანსთა;
შინაგან ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
საგზაო სამმართველოს უფროსი;
დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული;
ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;

და, გარდა ამისა, რესპუბლიკის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს დამტკიცებით სახალხო კომისრები:

კვების მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა.

მუხლი 73. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისრები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის იმ დარგებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციაში შედიან, თანახმად საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური სსრ-ის კონსტიტუციებისა.

მუხლი 74. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისრები, სათანადო სახალხო კომისარიატების კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემენ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური სსრ-ის კანონთა, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისრების ბრძანებათა და ინსტრუქციათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

მუხლი 75. ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მმართველობის მათთვის დაკისრებულ დარგებს, და ექვემდებარებიან, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატებს.

თავი VII

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები

მუხლი 76. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო არის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

მუხლი 77. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ირჩევენ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოქალაქენი ორი წლის ვადით შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 2.500 მცხოვრებზე.

მუხლი 78. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხელმძღვანელობს მმართველობის მისდამი ქვემდებარე ორგანოების მოქმედებას, უზრუნველჰყოფს სახელმწიფო წესრიგის დაცვას, კანონების შესრულებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას, ხელმძღვანელობს ადგილობრივს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, ამტკიცებს საოლქო ბიუჯეტს და საოლქო სახალხო-სამეურნეო გეგმას.

მუხლი 79. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებებს და იძლევა განკარგულებებს იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მას მინიჭებული აქვს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის კანონებით.

მუხლი 80. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო არის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე, მდივანი და 7 წევრი.

მუხლი 81. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჰქმნის შემდეგ განყოფილებებს:

მიწათმოქმედებისა;
საფინანსო;
შინაგანი ვაჭრობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
სახალხო განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
სატყეო მეურნეობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
საგზაოს;
საერთოს;
ხელოვნების საქმეთა;
საგეგმო კომისიას;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ:

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველო;
დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული.

მუხლი 82. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განყოფილებები და სამმართველოები ექვემდებარებიან თავის მოქმედებაში როგორც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატებს.

მუხლი 83. სახელმწიფო ხელისუფლების სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ორგანოები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში იქმნებიან ამ კონსტიტუციის VIII თავის საფუძველზე.

თავი VIII

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები

მუხლი 84. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რაიონებსა, ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები.

მუხლი 85. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, დიდი ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ირჩევენ შესაბამისად რაიონის, ქალაქის, დაბის და სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით.

მუხლი 86. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 300 მცხოვრებზე.

მუხლი 87. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ქალაქ ფოთის საბჭო—ერთი დეპუტატი 200 მცხოვრებზე, ქალაქ ქუთაისისა—ერთი დეპუტატი 400 მცხოვრებზე, ქალაქ თბილისისა—1 დეპუტატი 700 მცხოვრებზე; დანარჩენი ქალაქებისა: ა) სადაც მოსახლეობა 10.000-მდეა, — ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებზე, ბ) სადაც მოსახლეობა 10.000 აღემატება—ერთი დეპუტატი 150 მცხოვრებზე.

მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოები, სადაბო და სასოფლო საბჭოს მოქმედების რაიონის სიდიდის მიხედვით, აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი არა ნაკლებ ვიდრე 50 და არა უმეტეს, ვიდრე—150 მცხოვრებზე.

მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოებისათვის საარჩევნო ნორმებს აწესებს საქართველოს სსრ-ის მშრომელთა დეპუტატების საბჭოთა არჩევნების დებულება ამ მუხლში აღნიშნული საარჩევნო ნორმების ფარგლებში.

მუხლი 89. მშრომელთა (რაიონის, ქალაქის, სოფლის) დეპუტატების საბჭოები ხელმძღვანელობენ კულტურულ-პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობას თავიანთ ტერიტორიაზე, აწესებენ ადგილობრივს ბიუჯეტს, ხელმძღვანელობენ მმართველობის მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მოქმედებას, უზრუნველჰყოფენ სახელმწიფო წესრიგის დაცვას, ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერებას, უზრუნველჰყოფენ კანონების შესრულებასა და მოქალაქეების უფლებათა დაცვას.

მუხლი 90. მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ღებულობენ გადაწყვეტილებებს და იძლევიან განკარგულებებს იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ-ის და ავტონომიური რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 91. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების სესიებს იწვევენ მათი აღმასრულებელი კომიტეტები არა ნაკლებ, ვიდრე ექვსჯერ წელიწადში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

გაგრძელება

ᲛᲣᲮᲚᲘ 92. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების სესიებს იწვევენ მათი აღმასრულებელი ორგანოები არა ნაკლებ, ვიდრე ერთხელ თვეში.

ᲛᲣᲮᲚᲘ 93. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები არიან მათ მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები—თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მდივნის და წევრების შემადგენლობით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 94. აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოებისა, რომელნიც აერთიანებენ არა უმეტეს 500 მცხოვრებისა, არიან ამ საბჭოების მიერ არჩეული თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 95. მშრომელთა (რაიონის, ქალაქის, სოფლის) დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ კულტურულ-პოლიტიკური და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობას თავიანთ ტერიტორიაზე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოებისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე.

ᲛᲣᲮᲚᲘ 96. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები თავიანთ სესიის დროისათვის ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს სესიის სხდომათა გასაძღოლად.

ᲛᲣᲮᲚᲘ 97. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს სასოფლო საბჭოს და უძღვება მის სხდომებს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 98. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი ორგანოები უშუალოდ ანგარიშვალდებულნი არიან როგორც მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოთა წინაშე, რომელმაც ისინი აირჩია, ისე მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს წინაშეც.

ᲛᲣᲮᲚᲘ 99. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზემდგომ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გააუქმონ მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და შეაჩერონ მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 100. მშრომელთა დეპუტატების ზემდგომ საბჭოებს უფლება აქვთ გააუქმონ მშრომელთა დეპუტატების ქვემდგომი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

ᲛᲣᲮᲚᲘ 101. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების უშუალო ხელმძღვანელობისათვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 102. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების შემდეგ განყოფილებებს:

მიწათმოქმედებისა;
სახალხო განათლებისა;
საფინანსოს;
შინაგანი ვაჭრობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
საერთოს;
საგზაოს;
საგეგმო კომისიას;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან განყოფილებებს: კომუნალურს და ადგილობრივი მრეწველობისას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 103. სარაიონო პირობების შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ჰქმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან თავის სამმართველოებს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 104. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ჰქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

საფინანსოს;
კომუნალური მეურნეობისა;
შინაგანი ვაჭრობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
სახალხო განათლებისა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
საერთოს;
საგეგმო კომისიას;

კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, ქალაქის მრეწველობის, მისი საქალაქო და საგარეუბნო მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად:

ადგილობრივი მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა.

ᲛᲣᲮᲚᲘ 105. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატს ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 106. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების, როგორც საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს სათანადო განყოფილებას და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატს ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 107. ქალაქ თბილისისა და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 108. ქალაქ სუხუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის სათანადო კომისარიატს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 109. ქალაქ ბათომის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე აჭარის ავტონომიური სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 110. ქალაქ სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 111. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უფლებამოსილების ვადის განვლისას მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ვიდრე ახლადარჩეული საბჭოები არ შექმნიან ახალ აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს.

ᲗᲐᲕᲘ IX

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი

ᲛᲣᲮᲚᲘ 112. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს ადგენს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო და შეაქვს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში.

ᲛᲣᲮᲚᲘ 113. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო ირჩევს საბიუჯეტო კომისიას, რომელიც მოახსენებს უზენაეს საბჭოს თავის დასკვნას საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ᲛᲣᲮᲚᲘ 114. საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის.

ᲛᲣᲮᲚᲘ 115. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ამტკიცებს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო და იგი ქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის.

ᲛᲣᲮᲚᲘ 116. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტში და რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება ადგილობრივი მეურნეობის შემოსავალი, მათს ტერიტორიაზე მიღებული სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები და აგრეთვე ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შემოსავალი სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით დაწესებული რაოდენობით.

ᲗᲐᲕᲘ X

სასამართლო და პროკურატურა

ᲛᲣᲮᲚᲘ 117. მართლმსაჯულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ახორციელებენ საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო, სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოები, რომლებიც იქმნებიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, და სახალხო სასამართლოები.

ᲛᲣᲮᲚᲘ 118. საქმეთა განხილვა ყველა სასამართლოში ხორციელდება სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით, გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ᲛᲣᲮᲚᲘ 119. საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი რესპუბლიკური სასამართლო ორგანო. საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოს ეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა სასამართლო ორგანოების სასამართლო მოქმედებას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 120. საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო—ხუთი წლის ვადით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 121. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებს ირჩევენ ამ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები—ხუთი წლის ვადით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 122. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ირჩევს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო—ხუთი წლის ვადით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 123. სახალხო სასამართლოს ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 124. სასამართლო წარმოება საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ანდა ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენები არ იციან, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით და აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

ᲛᲣᲮᲚᲘ 125. საქმის გარჩევა საქართველოს სსრ-ის ყველა სასამართლოში სწარმოებს ღიად, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა; ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

ᲛᲣᲮᲚᲘ 126. მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 127. უმაღლესი ზედამხედველობა, რათა საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ყველა სახალხო კომისარიატი და მათი ქვემდებარე დაწესებულებანი, ისე როგორც თანამდებობის ცალკეული პირნი და აგრეთვე მოქალაქენი ზუსტად ასრულებდნენ კანონებს, ხორციელდება როგორც სსრკ-ის პროკურორის მიერ უშუალოდ, ისე საქართველოს სსრ-ის პროკურორის საშუალებით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 128. საქართველოს სსრ-ის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის პროკურორი ხუთი წლის ვადით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 129. რაიონული და საქალაქო პროკურორებს ნიშნავს საქართველოს სსრ-ის პროკურორი ხუთი წლის ვადით, სსრ კავშირის პროკურორის დამტკიცებით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 130. პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ სსრ კავშირის პროკურორს.

ᲗᲐᲕᲘ XI

მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი

ᲛᲣᲮᲚᲘ 131. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 132. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

დასვენების უფლება უზრუნველყოფილია სამუშაო დღის შემცირებით მუშათა უდიდესი უმრავლესობისათვის 7 საათამდე, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურ შვებულებათა დაწესებით და სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების ფართო ქსელით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 133. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, მშრომელთათვის უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 134. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლების,—უმაღლესი განათლების ჩათვლით,—უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 135. ქალს საქართველოს სსრ-ში ენიჭება მამაკაცთან თანასწორი უფლებები სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ქალთა ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმით, რომ ქალს მინიჭებული აქვს მამაკაცთან თანასწორი უფლება შრომისა, შრომის ანაზღაურებისა, დასვენებისა, სოციალური დაზღვევისა და განათლებისა, დედისა და ბავშვის ინტერესთა სახელმწიფო დაცვით, ორსულობის დროს ქალისათვის შვებულების მიცემით და ხელფასის შენარჩუნებით, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების ფართო ქსელით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 136. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევი კანონი არის.

მოქალაქეთა უფლების რაიმე პირდაპირი, ან არაპირდაპირი შეზღუდვა ან, პირიქით პირდაპირი, ან არაპირდაპირი უპირატესობის დაწესება მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით, აგრეთვე რასიული ან ნაციონალური განკერძოებულობის, ან სიძულვილისა და დამცირების ყოველგვარი ქადაგება — ისჯება კანონით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 137. მოქალაქეთათვის სინიდისის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ეკლესია საქართველოს სსრ-ში გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან. რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის.

ᲛᲣᲮᲚᲘ 138. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია:

ა) სიტყვის თავისუფლება;
ბ) ბეჭდვის თავისუფლება;
გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება;
დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება.

მოქალაქეთა ეს უფლებანი უზრუნველყოფილია მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის სტამბების, ქაღალდის მარაგის, საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, კავშირგაბმულობის საშუალებათა და სხვა მატერიალურ პირობათა სარგებლობაში მიცემით, რომლებიც კი აუცილებელია მათი განხორციელებისათვის.

ᲛᲣᲮᲚᲘ 139. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და ხალხის მასების ორგანიზაციული თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარების მიზნით საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია უფლება გაერთიანებისა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირებში, კოოპერატიულ გაერთიანებებში, ახალგაზრდობის ორგანიზაციებში, სასპორტო და თავდაცვის ორგანიზაციებში, კულტურულ, ტექნიკურ და სამეცნიერო საზოგადოებებში, ხოლო ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა), რომელიც არის მშრომელთა მოწინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც, საზოგადოებრივ, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა.

ᲛᲣᲮᲚᲘ 140. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას, თუ არა სასამართლოს დადგენილებით ან პროკურორის სანქციით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 141. მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობა და მიწერ-მოწერის საიდუმლოება დაცულია კანონით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 142. საქართველოს სსრ—თავშესაფარის უფლებას ანიჭებს უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც დევნილი არიან მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, ან მეცნიერული მოღვაწეობისათვის, ან ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ᲛᲣᲮᲚᲘ 143. საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყრას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ᲛᲣᲮᲚᲘ 144. საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას ხალხის მტრები არიან.

ᲛᲣᲮᲚᲘ 145. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება არის კანონი.

სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

ᲛᲣᲮᲚᲘ 146. სამშობლოს დაცვა არის საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქის უწმინდესი მოვალეობა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა — ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე ბოროტმოქმედება.

ᲗᲐᲕᲘ XII

საარჩევნო სისტემა

ᲛᲣᲮᲚᲘ 147. დეპუტატთა არჩევნებს მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოში: საქართველოს სსრ-ის უზენაეს საბჭოში, ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაეს საბჭოებში, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საქალაქო სადაბო და სასოფლო საბჭოებში,—ამომრჩევლები მოახდენენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 148. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ-ის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას, გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან, საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

ᲛᲣᲮᲚᲘ 149. დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე მონაწილეობს არჩევნებში თანასწორ საფუძველზე.

ᲛᲣᲮᲚᲘ 150. ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცების თანაბრად.

ᲛᲣᲮᲚᲘ 151. წითელი არმიის რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანაბრად.

ᲛᲣᲮᲚᲘ 152. დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: არჩევნებს მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოში, დაწყებული მშრომელების დეპუტატთა სასოფლო და საქალაქო საბჭოთი თვით საქართველოს სსრ-ის უზე-

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია

(დასასრული)

ნაეს საბჭომდე, მოქალაქენი მოახდენენ უშუალო პირდაპირი არჩევნების გზით.

მუხლი 153. კენჭისყრა დეპუტატთა არჩევნების დროს არის ფარული.

მუხლი 154. კანდიდატებს არჩევნების დროს წამოაყენებენ საარჩევნო ოლქის მიხედვით.

კანდიდატთა წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირებისათვის, კოოპერატივებისათვის, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისათვის, კულტურული საზოგადოებებისათვის.

მუხლი 155. თვითეული დეპუტატი ვალდებულია თავისი მუშაობისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუშაობის ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს და ყოველთვის შეიძლება უკან იქნას გაწვეული თანახმად ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებისა კანონით დადგენილი წესით.

თავი XIII

ენა, ღერბი, დროშა და დედა-ქალაქი

მუხლი 156. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა, როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში.

მუხლი 157. კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის—ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე.

მუხლი 158. კანონები და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულობანი და განმარტებანი, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე.

მუხლი 159. საქართველოს სსრ-ის ღერბი შესდგება მრგვალი წითელი არესაგან, რომლის ზემო ნაწილში გამოსახულია მნათი ხუთქიმიანი ვარსკვლავი მთელს არეზე გაშლილი სხივებით, ქვემოთ გამოსახულია თოვლიანი ცისფერი მთაგრეხილი: მარჯვენა მხარეზე—ოქროს თავთავი და მარცხენაზე—ოქროს ვაზი. ყურძნის მტევნებით. თავთავისა და ვაზის ბოლოები გადახლართულია ერთმანეთში მთაგრეხილის ძირთან არეს ქვემო ნაწილში. შუაგულის დიდი ნაწილი უჭირავს ოქროს ნამგლისა და უროს გამოსახულებას; ნამგალი და ურო ებჯინებიან: ზემოთ მნათ ვარსკვლავს, ქვემოთ მთაგრეხილის მწვერვალს, ხოლო გვერდებზე თავთავსა და ვაზს. არეს გარშემო მოთავსებულია წარწერა ორ ენაზე—ქართულსა და რუსულზე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“! ღერბი გარშემოვლებულია ქართული სტილის ორნამენტიანი სახეებით.

მუხლი 160. საქართველოს სსრ-ის დროშა შესდგება წითელი ფერის ქსოვილისაგან; მარცხენა კუთხეში ზემოთ, ოთხ კუთხედში, რომლის გვერდები ქსოვილის მთელი სიგრძის მეოთხედს უდრის, არის წარწერა ქართულ ენაზე ოქროს ასოებით: „საქართველოს სსრ“.

მუხლი 161. საქართველოს სსრ-ის დედა-ქალაქი არის ქალაქი თბილისი.

თავი XIV

კონსტიტუციის შეცვლის წესი

მუხლი 162. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შეცვლა ხდება მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებული უნდა იქნას ხმის არა ნაკლებ ორიმესამედის უმრავლესობით.

სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის პრეზიდიუმი

რ. მ. აბრამიანი
გ. ა. არუთინოვი
ვ. მ. ბაქრაძე
ლ. პ. ბერია
ი. ბ. ბოლქვაძე
ი. კ. გვასალია
ა. გ. გძურქოვი
მ. ა. გობეჩია
ს. ა. გოგლიძე
შ. ნ. დადიანი
ვ. გ. დარახველიძე
ვ. გ. დეკანოზოვი
ს. ი. ჯანაშია
ა. ი. ჯანელიძე
ი. პ. ჯიჯოევი
ნ. ს. ილიუშინი
ა. მ. კეკელია
ქ. ი. კილაძე
თ. ა. კორსაველი
გ. დ. ყურულაშვილი
მ. კ. ლევანდოვსკი
ჟ. დ. ლორთქიფანიძე
შ. ს. მათიკაშვილი
ფ. ე. მახარაძე
გ. ა. მგალობლიშვილი
ა. ი. მგელაძე
ე. დ. ნაჭყებია
მ. ტ. ნიორაძე
თ. გ. როსტომაშვილი
ვ. ვ. სამხარაძე
გ. თ. სტურუა
მ. ი. თოიძე
ი. პ. ცეცხლაძე
ა. დ. წითლიძე
მ. ე. ჭიაურელი
ო. ი. ჩიგიტაშვილი
დ. ა. ჭიჭინაძე
გ. ი. ჩხეიძე

ქალაქი თბილისი
13 თებერვალი 1937 წ.

დადგენილება

სრულიად-საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების საგანგებო VIII ყრილობისა

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ

მოისმინა რა ამხ. გ. მუსაბეკოვის ინფორმაცია ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ლიკვიდაციის შესახებ, სრულიად-საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ისტორიული როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში, მან უზრუნველჰყო მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობის და ძმური თანამშრომლობის დამყარება ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის და საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება.

ამიერკავკასიის ხალხებმა, რომელნიც დიადმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა იმპერიალისტური ინტერვენტებისა და მათ მიერ დაქირავებულების, ხალხის მოღალატეებისა და გამცემლების — მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების ულისაგან, მუშათა კლასის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ინიციატივით, 1922 წ. 12 მარტს შექმნეს ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკა, რათა გაეერთიანებიათ თავისი ძალღონე სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის, ნგრევის ლიკვიდაციისა და მეურნეობის აღმავლობისათვის, კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა პარტიების საბოლოოდ განადგურებისა და ერთა შორის მშვიდობიანობისა და მჭიდრო ძმური თანამშრომლობის დამყარებისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ შეასრულა მის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანები.

კომპარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებანი ამიერ-კავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მძლავრი ინდუსტრია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში და გადააქცია ისინი მოწინავე, ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად.

ამიერ-კავკასიის სოფლად საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. ასობით და ათასობით კოლმეურნეობები საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების საფუძველზე იზრდებიან და მტკიცდებიან, უზრუნველჰყოფენ რა შეძლებულ ცხოვრებას კოლმეურნეებისათვის.

უმაგალითო აყვავებას მიაღწია ამიერ-კავკასიის ხალხთა ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ.

საბოლოოდ განადგურებული არიან ხალხის მტრები — მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების კონტრრევოლუციური პარტიები. საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხებს შორის განმტკიცებულია ძმური ურთიერთობა, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ, შექმნეს და განამტკიცეს რა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ნაციონალური მშვიდობიანობის ორგანო, ბურჟუაზიული წყობილების დროს არნახული და შეუძლებელი, საერთო ძალღონით მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ამ ისტორიულ გამარჯვებებს.

სოციალიზმის გამარჯვებამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მოამზადა და შექმნა აუცილებელი პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის დიადი საბჭოთა კავშირის ისტორიული განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს— საქართველოს, სომხეთსა და აზერბეიჯანს — მზარდი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის პირობების გამო, ამჟამად აქვთ უაღრესად ფართო სამეურნეო და კულტურული ურთიერთობა არა მარტო ერთმანეთს შორის, არამედ უშუალოდ სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთანაც, რამაც თვითეული ამ რესპუბლიკათაგანი ახალ მდგომარეობაში ჩააყენა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში და შექმნა აუცილებელი პირობები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების უშუალოდ შესვლისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ახალი სტალინური კონსტიტუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შემდგომი ზრდისა და აყვავების უდიდეს პერსპექტივებს სახავს და კიდევ უფრო მაღლა სწევს ამიერ-კავკასიის ხალხთა ურღვევ ძმურ კავშირს.

გამოდის რა ზემოაღნიშნულიდან, სრულიად - საქართველოს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობა ადგენს:

შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-13 მუხლისა, რომელიც აწესებს აზერბეიჯანის სს რესპუბლიკის, საქართველოს სს რესპუბლიკის და სომხეთის სს რესპუბლიკის უშუალოდ შესვლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, საჭიროდ ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების ლიკვიდაცია, რომელთაც შეასრულეს თავისი ისტორიული დანიშნულება.

დეპეშა ნიუ-იორკიდან იოსებ სტალინს

მოსკოვი

ჩვენ, თვრამეტი ათასი კაცი, შევიკრიბენით რა კომუნისტური პარტიის მოწოდებით მადისონ-სკვერში, მივესალმებით მუშათა კლასის მართლმსაჯულებას, რომელმაც დამსახურებისამებრ მიუზღო პროგრესისა, მშვიდობიანობისა და საბჭოთა კავშირის დემოკრატიის ტროცკისტ-მტრებს. ჩვენ მივესალმებით მართლმსაჯულების ორგანოებს, რომელნიც იცავენ საბჭოთა კავშირს და რომლებმაც რკინის ხელით მზის სინათლეზე გამოათრიეს მუშათა და გლეხთა მტრები. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ მკვლელ ტროცკის და მის აგენტებს, რომლებმაც მოაწყეს შეთქმულება მკვლელობათა მოსახდენად და ნგრევის გამოსაწვევად საბჭოთა კავშირში. ჩვენ ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას ერთერთი საუკეთესო ბოლშევიკის — სერგეი კიროვის დაღუპვის გამო. ჩვენ დავტირით ტროცკისტ-მტრების ხელით დასახიჩრებულ და მოკლულ მუშათა და წითელარმიელთა დაკარგვას და აყვავებული სოციალისტური მრეწველობის [illegible]. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ ტროცკისტებს, როგორც ჰიტლერისა და მუსოლინის აშკარა აგენტებს, რომელნიც ცდილობენ გასთიშონ სახალხო ფრონტი ესპანეთში.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტროცკისტ-მავნებლებს გავაძევებთ მუშათა მოძრაობიდან, შევსძლებთ ჩვენ გავაერთიანოთ ხალხის რიგები ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, დემოკრატიისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში.

თავმჯდომარე **ი. ამტერი.**



ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა [illegible]

ფოტო [illegible] („კომუნისტის“ [illegible])

ნეკროლოგი

შაქრო კევლიშვილი

[illegible]

პარტკალენდარი

[illegible] თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა — მთავარია მარქსიზმ-ლენინიზმში“. საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის წლებში“. საღამოს 7 საათზე.

16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა [illegible]

— **26 კომუნარის რაიკომის** პარტკაბინეტში დღეს, საღამოს 7 საათზე, გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარი თემაზე: „პრავდის“ სარედაქციო სტატია „ხალხის მოსისხლე მტრების — ტროცკისტების მიზანი და მეთოდები. სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის სიტყვა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესზე“.

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

მადრიდი, 13 თებერვალი (საქდესი). 12 თებერვლის ოფიციალური შეჯამებული ცნობა ფრონტების მდგომარეობის შესახებ იუწყება, რომ გვადალახარის სექტორში მოწინააღმდეგემ დაიწყო შეტევითი ხასიათის დაზვერვის ოპერაცია, მაგრამ უკუგდებულ და დამარცხებულ იქნა რესპუბლიკელთა მიერ.

მადრიდის ფრონტზე დასავლეთის პარკის უბანზე რესპუბლიკელებმა დღის დამდეგს გააუმჯობესეს თავიანთი პოზიციები, წაართვეს რა მოწინააღმდეგეს რამდენიმე ტრანშეი კასკადის მახლობლად. ფრონტის სხვა უბნებზე თოფისა და არტილერიის მსუბუქი სროლაა.

მდგომარეობა მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 13 თებერვალი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, გუშინ, 14 საათსა და 30 წუთზე, რესპუბლიკელებმა მიტანეს იერიში სან-მარტინ დე ლა ვეგას მახლობლად, რათა განედევნათ მეამბოხენი იმ მაღლობებიდან, რომლებიც დაჰყურებენ მდინარე ხარამასა და ვალენსიის გზას. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მათ მოახერხეს და შტაბის მიერ დასახულ ობიექტებს მიაღწიეს. ვალენსიის გზას წინანდებურად სწვდება მეამბოხეთა არტილერიის ცეცხლი, მაგრამ ტყვიამფრქვევები ველარ უწევენ ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა.

პარიზი, 13 თებერვალი (საქდესი). „პარი სუარი“ იუწყება, რომ გუშინ საღამოთი მეამბოხეების მაროკოელთა ნაწილებმა მიიტანეს იერიში რესპუბლიკელების პოზიციებზე უნივერსიტეტის უბანში.

რესპუბლიკელებმა გულდამშვიდებით მიუშვეს მაროკოელები მეტად ახლო მანძილზე, ხოლო შემდეგ უკუაგდეს მოულოდნელი და ძლიერი სროლით. რესპუბლიკელებმა ისარგებლეს მეამბოხეთა არევდარევით და იმით, რომ მათ დიდი ზარალი მოუვიდათ, გადავიდნენ შეტევაზე და დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ტრანშეა.

ლონდონი, 13 თებერვალი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტის კომუნიკეში, რომელიც გუშინ დაღამებისას გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ რესპუბლიკელებმა დიდი წარმატებით ჩაატარეს კონტრშეტევა არგანდის რაიონში (მადრიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და გაამაგრეს დაკავებული პოზიციები. მთავრობის თვითმფრინავები წარმატებით ებრძოდნენ მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს, ამ რაიონში მათ ჩამოაგდეს მტრის 7 ავიაგამანადგურებელი.

არანხუესის რაიონში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში. მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს რკინიგზის სადგურს სესენში.

გვადალახარის რაიონში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში. მეამბოხეებს მოუკლეს 250 კაცი, რესპუბლიკელებს—მხოლოდ 15. მთავრობის არტილერიამ სროლა აუტეხა რკინიგზის სადგურს ხეტაფეში, რის შედეგადაც სადგურში დიდი ხანძარი გაჩნდა.

მადრიდში აღმოაჩინეს მეამბოხეთა შპიონაჟის ცენტრი

პარიზი, 13 თებერვალი (საქდესი). ესპანიის სააგენტოს ცნობებით, მადრიდში აღმოაჩინეს მეამბოხეთა შპიონაჟის ცენტრი. დაპატიმრებულია 40 კაცი, მათ შორის—რამდენიმე სახელმწიფო მოსამსახურე.

ფაუპელს ელჩობა მიანიჭეს

ბერლინი, 13 თებერვალი (საქდესი). გერმანიის საქმეთა რწმუნებულს ესპანელ მეამბოხეთა ბანაკში, გენერალ ფაუპელს ჰიტლერის განკარგულებით ელჩობა მიენიჭა.

ინტერვენტების ძალები ესპანეთში

პარიზი, 13 თებერვალი (საქდესი). „ევრი“ აღნიშნავს, რომ ამჟამად ესპანეთში იმყოფება დაახლოვებით 50 ათასი იტალიელი და 20 ათასამდე გერმანელი.

◆

კურტ შტანგელი სიკვდილით დასაჯეს

ბერლინი, 13 თებერვალი (საქდესი). დღეს ბერლინში სიკვდილით დასაჯეს დრეზდენელი კურტ შტანგელი, 30 წლისა, რომელსაც ფაშისტურმა სასამართლომ „სახელმწიფო ღალატისათვის“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ინგლისი არ ფიქრობს დასთმოს რაიმე თავისი კოლონიებიდან

ლონდონი, 13 თებერვალი (საქდესი). როგორც „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა გალიფაქსმა ნათლად განუცხადა რიბენტროპს, რომ ინგლისს არა აქვს განზრახვა დასთმოს რაიმე თავისი კოლონიური სამფლობელოებიდან.

ინგლისის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ განხილულ იქნას საკითხი, რომ გერმანიას მიეცეს გზა ნედლეულის წყაროებისკენ.

ძნელია ისეთი კოლონიების პოვნა,—ნათქვამია გაზეთში,—რომლებიც შეიძლებოდა დაგვეთმო ისე, რომ ზიანი არ მიგვეყენებინა სხვა ქვეყნებისა და დომინიონებისათვის. მიღებული ცნობების თანახმად,—სწერს გაზეთი, — გალიფაქსთან საუბრის შემდეგ რიბენტროპმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ ვერც ინგლისი, ვერც საფრანგეთი პერსპექტივაში ვერ ხედავენ გერმანიის კოლონიური პრეტენზიების დაკმაყოფილების რაიმე შესაძლებლობას.

ეს კომენტარიები დაიბეჭდა მხოლოდ „დეილი ტელეგრაფში“ და ყურადღების ღირსია იმის გამო, რომ ამ გაზეთს მჭიდრო კავშირი აქვს მთავრობის წრეებთან.

◆ ◆ ◆

იტალიური პრესა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკების შესახებ

რომი, 12 თებერვალი (საქდესი). იტალიური პრესა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს რიბენტროპის მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობასთან, მაგრამ იმ დასკვნამდის მიდის, რომ ჰიტლერის დესპანს აშკარა მარცხი ხვდა წილად.

„კურიერე დელა სერას“ ლონდონელი კორესპონდენტი სწერს:

„თუ, როგორც საფრანგეთში ფიქრობენ, რიბენტროპმა კვლავ აღძრა საკითხი ლოკარნოს ხელშეკრულებასთან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შეუთავსებლობის შესახებ, აგრეთვე კოლონიური პრობლემა, მაშინ ინგლისის პასუხი წინდაწინ ცნობილია. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება იურიდიულად ჩინებულად ეთანხმება ერთა ლიგის წესდებას, კოლონიური საქმეები კი შეიძლება განხილულ იქნან მხოლოდ ერთა ლიგაში“. ასეთია, ალბათ, ამთაჯერებს გაზეთი, რიბენტროპის მოლაპარაკების მცირედი შედეგი.

გებელსის გამოსვლა

ბერლინი, 13 თებერვალი (საქდესი). გუშინ საღამოს გერმანიის პროპაგანდის მინისტრი გებელსი ბერლინში გამოვიდა დიდი საპროგრამო სიტყვით. ჩვეულებისამებრ, მისი სიტყვის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა გააფთრებულ მოწოდებაში „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“ და უხეშ ანტისაბჭოთა გალაშქრებაში. სიტყვის პოლიტიკური ღერძი იყო ცდა დაემტკიცებინა — პირველ რიგში ინგლისისათვის, — რომ ფაშისტური გერმანია წარმოადგენს „კომუნიზმის ერთადერთ მოპირისპირე ძალას“. სსრ კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებასთან ერთად გებელსმა მუქარის ტონით განაცხადა ჩეხოსლოვაკიის მიმართ: „ჩეხოსლოვაკიამ დასდო კავშირი სსრ კავშირთან. ჩვენთვის ეს საკმარისია“. გებელსი აგრეთვე არაორაზროვნად გამოვიდა რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ. შეეხო რა ომის საფრთხის საკითხს, გებელსმა განაცხადა, რომ საერთოდ „მეტისმეტად“ ბევრს ლაპარაკობენ „მომავალ ომზეო“.

„ცხიმების ეკონომია“ გერმანიაში

ბერლინი, 11 თებერვალი (საქდესი). „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ იუწყება, რომ კონდიტერთა სრულიად-გერმანიის გაერთიანების უფროსმა განკარგულება გასცა, რომ გაერთიანების ყველა წევრმა „ცხიმების ეკონომიის მიზნით“ საკონდიტრო ნაწარმი ცხიმზე მხოლოდ კვირაში ერთხელ მოამზადოს.

თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
15-II დაისი
16-II ჩიო-ჩიო-სან
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

15, 16, 17 და 18 თებერვალს
უდიდესი საბ. ატრაქციონის
კიოს
და მისი 25 ასისტენტის
უკანასკნელი ოთხი გამოსათხოვარი გამოსვლა.
კიოს ყველა ნომრის
სრული გამომჟღავნება
ახალი გასტროლიორები
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12—2 ს და 5 ს.
სახცირკი
ტელ. 3-11-44
18 თებ. 2 წარ. დღისით
კიოს
მონაწ.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
15-II ანზორ
16-II ანზორ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
15-II წარ. № 105 იცკა რიქინაშვილი
16 II წარ. № 106 ცხვრის წყარო

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი 7, 9, 11
კომკავშირელი 6 30, 8-30, 10-3
რ. ლუქსემბ. 5, 7, 9, 11
26 კომ. სახ. 5, 7, 9, 11
ახალი ამბები დასაწ. 6-30
დადგმის მესამე კვირა
ხმოვანი მხატვრული ფილმი
დარიკო
საგმირო ეპოპეა ეგ. ნინოშვილის ნაწარმ. მიხედვით.
ავტორი-რეჟისორი სიკო დოლიძე.
ოპერატორი შ. აფაქიძე.
ხ.ქ. ფილმი ბახჩისარაის შადრევანი,
ესპანეთის ამბები № 13

საქკვებვაჭრობას რაიონებში სამუშაოთ ესაჭიროება
სავაჭრო დარგში ნამუშევარი •
გამოცდილი მთავარი ბუხჰალტერი
ცნობისათვის მიმართეთ მთავარ ბუხჰალტერს—საქკვებვაჭრობა ძერჟინსკის ქ. № 22, მე-3 სართული. 16776

ექიმი ი. ჭეიშვილი
კანის და ვენერიული ავად.
იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.
კამოს ქუჩა № 72.

ექიმი გ. მ. ფხაკაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი და სუსუნატი). მარტის ქ. № 6, ვერის ბაზართან. აფთიაქის უკან ტელეფონი 3-51-12.

უახლოესი ამხანაგები: დ. დოთიაშვილი, ნ. ინაშვილი, ს. ძებისაშვილი, ი. ბუთხუზი, გ. დევიძე, ნ. აბალაკი მწუხარებით იუწყებიან საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორის

ამხ. შაქრო დიმიტრეს-ძე კევლიშვილის

უდროოდ დაკარგვას.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 ბა მომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამ დივნისი: 3—06—88. განყოფილებების: პარტიულის—3—57—61, სას ოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ვ. 8522